FOR EVALUATION OF ONE PUBLICATION PUBLISHED IN „7 DAYS" NEWSPAPER

გაზეთში „7 დღე“ გამოქვეყნებული ერთი პუბლიკაციის შეფასებისათვის

ALEKSANDRE MOSIASHVILI
Doctor of History,
Associate professor of
Iakob Gogebashvili Telavi state University,
Telavi, Georgian University St., № 1, 2200, Georgia,
+995599702969, Aleqsandre.mosiashvili@yahoo.com,
https://orcid.org/0000-0001-7846-6482

Abstract. The discussion of the tragic events that took place in Tbilisi in December-January of 1991-1992 is relevant to this day. As a result of its completion, the forces at the head of the Georgian government and their supporters assessed the incident as a civil war, and named President Zviad Gamsakhurdia and his government as the main culprit. But how correct their assessment was, or whose interests were served by such an assessment, is still not properly studied and completely certain. On January 4, 1991, another issue of the newspaper "7 Days" published in Georgia with its title "Civil War or Peace?" attracted the attention of the readers. What kind of civil war could be talked about at a time when the country was led by a newly elected political power based on the results of the first multi-party elections, not violently, but completely legitimately, democratically. The use of violent forms and approaches was not observed in his rule. In such a short period of time, no one could turn the 70-year-old Soviet republic into a developed democratic country at once, and in order to achieve this goal, the so-called "Transition period". Accordingly, it was necessary to implement certain reforms in various areas. Carrying out reforms required proper preparation and a calm environment. The material given in the mentioned newspaper publication, which mainly includes the interviews of the Deputy Chairman of the Supreme Council of the Republic of Georgia Akaki Asatiani and the leader of "Mkhedrioni" Jaba Ioseliani, we come across significant information about the ongoing processes at that time. The opposition-minded armed formation "Mkhedrioni" opposed the government with armies and did not allow it to carry out the chosen national course in a peaceful situation. It is interesting that under the conditions of the tragic events that started in Tbilisi on December 22, 1991, the government was on one side, and "Mkhedrioni" was on the other side, along with other internal and external forces. In the matter of correctly perceiving and realizing the defining status of what happened after the bloody conflict, such printed materials provide us with great help. The conducted research allows us to conclude the following: the tragic events unfolding in Tbilisi cannot be considered a civil war. Giving it the status of a civil war was only in the interests of the forces that represented the violent side during the conflict.

Key words: Newspaper „7 days"; Civil war; National government; „Mkhedrioni”; December-January 1991-1992; Opposition.

ალექსანდრე მოსიაშვილი
ისტორიის დოქტორი,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1. 2200, საქართველო,
+995599702969, Aleqsandre.mosiashvili@yahoo.com,
https://orcid.org/0000-0001-7846-6482

აბსტრაქტი. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში თბილისში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების განხილვა დღემდე აქტუალურია. მისი დასრულების შედეგად საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა ძალებმა და მათმა მხარდამჭერებმა მომხდარი სამოქალაქო ომად შეაფასეს, მთავარ დამნაშავედ კი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი ხელისუფლება დაასახელეს. მაგრამ მათი შეფასება რამდენად იყო სწორი, ან ვის ინტერესებს ემსახურებოდა ასეთი შეფასება _ დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი და ბოლომდე გარკვეული. 1991 წლის 4 იანვარს საქართველოში გამოსული გაზეთი ,,7 დღე"-ს მორიგი ნომერი თავისი სათაურით ,,სამოქალაქო ომი თუ მშვიდობა?" იმთავითვე იქცევდა მკითხველის ყურადღებას. რომელ სამოქალაქო ომზე შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი იმ დროს, როცა ქვეყანას არა ძალადობრივი გზით, არამედ სრულიად ლეგიტიმურად, დემოკრატიულად, პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგების საფუძველზე ახლადარჩეული პოლიტიკური ძალა ედგა სათავეში. მის მმართველობაში არ შეინიშნებოდა მოძალადეობრივი ფორმების და მიდგომების გამოყენება. ასე მოკლე ხანში 70-წლიან საბჭოურ რეჟიმგამოვლილ რესპუბლიკასაც ერთბაშად განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნად ვერავინ აქცევდა და ამ მიზნის მისაღწევად თავდაპირველად გამოცხადდა ე. წ. ,,გარდამავალი პერიოდი". შესაბამისად, საჭირო იყო გარკვეული რეფორმების განხორციელება სხვადასხვა სფეროში. რეფორმების გატარებას კი სათანადო მომზადება და მშვიდი გარემო ესაჭიროებოდა. აღნიშნულ საგაზეთო პუბლიკაციაში კი მოცემული მასალა, რომლებიც ძირითადად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის აკაკი ასათიანის და ,,მხედრიონი"-ს ლიდერის ჯაბა იოსელიანის ინტერვიუებს მოიცავს, საგულისხმო ინფორმაციებს ვაწყდებით იმ დროისათვის მიმდინარე პროცესების ირგვლივ. ოპოზიციურად განწყობილი შეიარაღებული ფორმირება ,,მხედრიონი" იარაღმომარჯვებული ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლებას და არ აძლევდა მას არჩეული ეროვნული კურსის მშვიდ ვითარებაში გატარების საშუალებას. საინტერესოა, რომ 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში დაწყებული ტრაგიკული მოვლენების პირობებში ერთ მხარეს აღმოჩნდა ხელისუფლება, ხოლო მეორე მხარეს ,,მხედრიონი" სხვა შიდა და გარე ძალებთან ერთად. სისხლისმღვრელი დაპირისპირების შემდეგ მომხდარის განმსაზღვრელი სტატუსის სწორად აღქმისა და გაცნობიერების საკითხში კი სწორედ ასეთი ბეჭდური მასალები გვიწევენ დიდ დახმარებას. განხორციელებული კვლევა კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ შემდეგი: თბილისში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები ვერ შეფასდება სამოქალაქო ომად. მისთვის სამოქალაქო ომის სტატუსის მინიჭება მხოლოდ იმ ძალების ინტერესებში შედიოდა, რომლებიც დაპირისპირების დროს მოძალადე მხარეს წარმოადგენდნენ.

საკვანძო სიტყვები: გაზეთი ,,7 დღე"; სამოქალაქო ომი; ეროვნული ხელისუფლება; ,,მხედრიონი"; 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარი; ოპოზიცია.

შესავალი. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში თბილისში განვითარებული მოვლენების შეფასება-გადაფასების საკითხები დღემდე არ კარგავენ აქტუალობას. მით უმეტეს, რაც დრო გადის მასში მონაწილე პირთა სიკვდილიანობის მიზეზის გამო ერთგვარად იკლებს შანსი მომხდართან დაკავშირებით სიმართლის სრულყოფილად დადგენის და ამავდროულად, იგივე შანსი იზრდება კიდეც, რადგან ახლა, ამ გადასახედიდან უფრო კარგად ჩანს მომხდარი და ადამიანების გარკვეულ ჯგუფებს შეუძლიათ უფრო თამამად ისაუბრონ ტრაგიკული მოვლენების პერიპეტიებზე. სავარაუდოდ, ისინი უკვე გარკვეული ზეწოლებისა და კომპლექსებისაგან გათავისუფლებულები უნდა იყვნენ. საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს კი კარგად ახსოვს ის პროცესები, რაც მათ თვალწინ ვითარდებოდა და რისი ნეგატიური შედეგებიც იქცა საქართველოს განვითარების შემაფერხებელ გარემოებად. პოზიციის თუ ოპოზიციის ლიდერთა მიერ მასმედიის წარმომადგენლებისთვის მიცემულ ინტერვიუებში, ხმამაღლა გაკეთებულ განცხადებებში და მათ მიერ გაჟღერებულ ცალკეულ ფრაზებში ბევრი საგულისხმო ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი, რომლებიც დიდ დახმარებას გვიწევენ მომხდარი ტრაგიკული მოვლენების სწორად დანახვასა და გააზრებაში. ახლა გაცილებით უფრო იოლია იმ რეალობის აღქმა, რომელშიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე მიმავალი საქართველო აღმოჩნდა. ჩვენი კვლევის ობიექტად კი იქცა 1991 წლის 22 დეკემბრიდან თბილისში შექმნილი საომარი მდგომარეობის სტატუსის გაანალიზების საკითხი.

მეთოდოლოგია. საკითხის შესწავლის მიზნით საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოების გარდა დახმარებას გვიწევს არსებული ისტორიოგრაფიის გაცნობა, ბეჭდური მასალების მოძიება, მათ შორის პრესა, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში საისტორიო წყაროების როლსაც კი ასრულებს. კვლევისთვის ვიყენებთ შემდეგ მეთოდებს: პრობლემის დანახვა, ისტორიულ-შედარებითი, კრიტიკული და ლოგიკური ანალიზი, ინდუქციური, დედუქციური და მსჯელობის მეთოდები.

შედეგები. საქართველოს დედაქალაქში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში განხორციელებული მოვლენები არანაირად არ შეიძლება შეფასდეს, როგორც სამოქალაქო ომი. გარკვეულმა, ძალებმა როდესაც დაგეგმეს საქართველოში ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლა, გარდა იმისა, რომ იზრუნეს დაფინანსების, შეიარაღების, საინფორმაციო ომის წარმოების და სხვა საკითხებზე, დამნაშავე მოძალადე მხარის საერთაშორისო იმიჯზეც დაიჭირეს თადარიგი, რათა შემდგომში, ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში _ დემოკრატიის გამარჯვებად წარმოეჩინათ მომხდარი, აერიდებინათ მოძალადე მხარისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რაც რა თქმა უნდა ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ მომხდარზე მათ არ უგიათ პასუხი, ამ გადასახედიდან სრულიად ნათელია თუ ვინ იყო მომხდარში დამნაშავე _ ეროვნული ხელისუფლება თუ ე. წ. ოპოზიცია.

მსჯელობა. 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს (იმდროისათვის საბჭოთა სოციალისტურ) რესპუბლიკაში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომლის შედეგების საფუძველზეც მოხდა ხელისუფლების ცვლილება. მანამდე არსებული კომუნისტური მთავრობა ჩაანაცვლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან მოსულმა ახალმა პოლიტიკურმა ძალამ ბლოკმა ,,მრგვალი მაგიდა _ თავისუფალი საქართველო“ (აბაშიძე, საქართველო და ქართველები, 2013).
აღნიშნული ძალის გამარჯვებას მოჰყვა საკანონმდებლო ორგანოს გარეთ დარჩენილი (ძირითადად ,,ეროვნული კონგრესი“) პოლიტიკური ძალების გააქტიურება და ხშირ შემთხვევებში დესტრუქციული ქმედებანი, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზით მავალი, ახალგაზრდა გამოუცდელი ხელისუფლებისთვის

სერიოზულ თავის ტკივილად იქცა.

მდგომარეობას ართულებდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბაზირებული რუსული სამხედრო ნაწილები და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან არსებული შეიარაღებული ფორმირებები. ერთ-ერთი მათგანი იყო ჯაბა იოსელიანის ხელმძღვანელობით მოქმედი ,,მხედრიონი“.

ეროვნული ხელისუფლების რესპუბლიკის სათავეში მოსვლისთანავე არაერთი სისხლის სამართლის საქმე იქნა დაკავშირებული ხსენებულ შეიარაღებულ ფორმირებასთან. საზოგადოებაში გაჩნდა აღქმა, რომ ყოველი ჩადენილი მძიმე დანაშაულის უკან ,,მხედრიონელები“ იდგნენ.

ახლა მოკლედ შევეხოთ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოს დედაქალაქის ცენტრში განვითარებული მოვლენების შედეგებს. 1991 წლის 22 დეკემბერს გამთენიისას დაიწყო ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და საქართველოდან განდევნის პროცესი. მოქმედებები ვითარდებოდა საომარი პროცესებისთვის მახასიათებელი სიუჟეტით. შეიარაღებული, სამხედროფორმიანი ადამიანების ნაწილი საარტილერიო საშუალებების, მძიმე ტექნიკის და სხვადასხვა სახის საბრძოლო იარაღების გამოყენებით უტევდნენ შოთა რუსთაველის გამზირზე არსებულ მთავრობის სახლს, სადაც ძირითადად გამაგრებულები იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მთავრობის წარმომადგენლები, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, ხელისუფლების მხარდამჭერები და მთავრობის სახლის დამცველები.

საბრძოლო ოპერაციების მიმდინარეობის დეტალური მიმოხილვა ამჯერად არ წარმოადგენს ჩვენი განხილვის ობიექტს. მასში მონაწილე მხარეების ჩამოთვლა კი აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ. ერთ მხარეს, როგორც აღინიშნა ხელისუფლება და მისი მხარდამჭერები იდგნენ, ხოლო მეორე მხარეს _ ე. წ. ოპოზიცია. დიახ, ეგრეთ წოდებული, რადგან იქ თავმოყრილნი იყვნენ თბილისის ზღვიდან ჩამოსული ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი თენგიზ კიტოვანი გვარდიელებთან ერთად, ოპოზიციურად განწყობილი სხვადასხვა პოლიტიკური (შეიარაღებული) ძალები და მათ შორის თითქოსდა დაპირისპირებულ მხარეთა შორის შუაში დგომის მიზნით მყოფი მმართველი ბლოკის ყოფილი წევრი, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება (თავმჯდომარე ვაჟა ადამია), ასევე ინტელიგენციის მცირე ნაწილი. მოგვიანებით, ამავე მხარეს შეუერთდა ციხის პატიმრობიდან უკანონოდ გათავისუფლებული ჯაბა იოსელიანი ,,მხედრიონ“-თან ერთად და რაც მთავარია გარე ძალები. უფრო კონკრეტულად კი რუსული სამხედრო ნაწილები თავისი სნაიპერებით, სამხედრო ცოცხალი ძალით, იარაღით, ჯავშანტექნიკით, დაფინანსებით (შველიძე, 2008, გვ. 464) და სხვა. როდესაც ოპოზიციას მოვიხსენიებთ, როგორც ,,ეგრეთ წოდებულს“, აქ იგულისხმება სამხედრო იარაღმომარჯვებული პოლიტიკური ორგანიზაციები. მიზეზი მარტივია _ ოპოზიცია თუ იარაღით იბრძვის ოპოზიციად აღარ განიხილება(http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=28485).

ჩვენი კვლევის ობიექტსაც ამჯერად სწორედ ეს უცნაური გარემოებები წარმოადგენს, რადგან თუ საქმე გვაქვს სამოქალაქო დაპირისპირებასთან, მაშინ აქ რა ესაქმება რუსულ სამხედრო ძალას?! ან/და რა აკავშირებთ ქართულ ოპოზიციურად განწყობილ ძალებს მათთან?!

ახლა გადავიდეთ ჩვენი ნაშრომის სათაურში გაჟღერებული ბეჭდური მასალის შინაარსის განხილვაზე. 1990 წლიდან საქართველოში გამომავალი ყოველკვირეული დამოუკიდებელი გაზეთი ,,7 დღე“ 1991 წლის 4 იანვარს გამოსულ ნომერში აქვეყნებს პუბლიკაციას სათაურით ,,სამოქალაქო ომი თუ მშვიდობა?“, სადაც წარმოდგენილია ფაქტობრივად ორი პატარა ინტერვიუ. ინტერვიუს ერთი ნაწილის რესპონდენტია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე აკაკი ასათიანი, ხოლო მეორე ნაწილის _ შეიარაღებული ფორმირების ,,მხედრიონი“-ს

ლიდერი ჯაბა იოსელიანი. საინტერესოა რატომ დაიბადა ასეთი სათაურის დარქმევის იდეა: ,,სამოქალაქო ომი თუ მშვიდობა?“ რომელ სამოქალაქო ომზე შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი არაუგვიანეს 1991 წლის 4 იანვრისა, ანუ როცა გამოვიდა გაზეთის აღნიშნული ნომერი? ამ დროისთვის ხომ ეროვნული ძალა სულ ახალი მოსულია ხელისუფლების სათავეში?! _ როგორც ზემოთ აღინიშნა 1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების საფუძველზე. ცნობილია ისიც, რომ ჩატარებული არჩევნების შემდეგ, იმავე წლის 14 ნოემბერს შეიკრიბა პირველად საკანონმდებლო ორგანო, სადაც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ დასახელდა და არჩეულ იქნა ზვიად გამსახურდია. ამის შემდეგ დაკომპლექტდა მთავრობა, მოხდა ხელისუფლების გადაბარება და ახლადარჩეული სახელისუფლებო ძალა შეუდგა მუშაობას. გამოცხადდა ,,გარდამავალი პერიოდი“ (ნათმელაძე მ. დ., 2004).

თუნდაც რომ 1990 წლის 14 ნოემბრიდან გადავთვალოთ, ვიდრე გაზეთი ,,7 დღე“-ს ჩვენთვის საინტერესო ნომერი გამოვიდოდა, ხომ დაახლოებით თვენახევარი გამოდის, ანუ ორი თვე არც კი. მაშინ ასეთი სათაური, მით უმეტეს, როცა შინაარსი საქართველოში არსებულ სიტუაციას ეხება, რატომ გაჩნდა ასეთი ფორმით?! პასუხი ალბათ, მისსავე შინაარსში უნდა მოვიძიოთ.

პუბლიკაციის ავტორები: ზვიად ქორიძე და თეიმურაზ ქორიძე ასე იწყებენ: ,, ,,პოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაძაბულია“, ,,მივექანებით კატასტროფისაკენ...“, ,,შესაძლებელია, ძმათა შორის სისხლი დაიღვაროს...“, ,,იქმნება სამოქალაქო ომის წინაპირობა...“, ,,ჩვენ ამას არ დავუშვებთ...“, ,,ჩვენ ამას არ მოვითმენთ...“

ეს და სხვა ამგვარი გამონათქვამები სულ უფრო ხშირად და სულ უფრო დაჟინებით გაისმის. ძალაუნებურად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკური წრეები საზოგადოებრიობას აჩვევენ კატასტროფის (ანუ სამოქალაქო ომის) გარდუვალობის აზრს.“ (7 დღე, 1991, გვ. 3) “ _ როგორც ჩანს ავტორებს აბსოლუტური სიზუსტით აქვთ გათავისებული სამოქალაქო ომის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შედეგი. ამიტომაც მას კატასტროფად ასახელებენ და ქვემოთ მოყვანილი ინტერვიუების საშუალებით საზოგადოებას ერთგვარ გამაფრთხილებელ სიგნალს უგზავნიან გაზეთის საშუალებით. ისინი ინტერვიუების წინ მცირე მიმოხილვას აგრძელებენ სადაც წერია: ,, ... 28 ოქტომბრის შემდეგ დაძაბულობა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას შორის არ შენელებულა. პირიქით, იგი უკიდურესად გაღრმავდა.

სავარაუდო იყო, რომ კომუნისტური პარტია ბოლომდე იბრძოლებდა საკუთარი ძალაუფლებისა და პრესტიჟის გადასარჩენად. ასე არ მოხდა: კომპარტიამ კანი და ტაქტიკა გამოიცვალა, ხელში ეროვნული მოძრაობის დროშა აიღო და ერის და სამშობლოსათვის ტანჯულის პოზაც მშვენივრად მოირგო. მოკლედ, დღეს აშკარა კომუნისტური ოპოზიცია არ არსებობს. არსებობს ფარული კომუნისტური ოპოზიცია, რომელიც ოდესმე აუცილებლად იტყვის თავის სათქმელს. თუმცა, ჩვენი დღევანდელი საუბრის თემა არ გახლავთ ,,ახალ პოლიტიკურ სიტუაციაში კომპარტიის ტაქტიკა და სტრატეგია“.

როცა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას შორის დაძაბულობა ვახსენეთ, უზენაესი საბჭოსა და ეროვნულ კონგრესს შორის არსებული უთანხმოებანი ვიგულისხმეთ. ეს რომ უბრალო პოლიტიკური ,,კინკლაობა“ იყოს, საშიშიც არაფერი იქნებოდა. მთელი ტრაგედია ის არის, რომ ორ პოლიტიკურ ძალას ერთმანეთში საერთო ენა ვერ გამოუნახავს, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდებიან. ღმერთმა ინებოს სიტყვიერი კონფლიქტების იქით საქმე არ წავიდეს... (7 დღე, 1991, გვ. 3)“ _ საოცარია, როგორ მძაფრად შეიგრძნობენ კორესპონდენტები ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას. მისასალმებელია ისიც, რომ საქმეს პროფესიონალურად უდგებიან, არიან ობიექტურები და არცერთი მხარის სასარგებლოდ არ იხრებიან.

პირველად ისინი აკაკი ასათიანის მოსაზრებებს გვაცნობენ, საიდანაც უნდა

გამოვყოთ რამდენიმე საგულისხმო მომენტი. კერძოდ, ,,უზენაესი საბჭოს დადგენილება არაკანონიერ შეიარაღებულ ფორმირებათა გაუქმების შესახებ, სავსებით ბუნებრივია. იარაღი უნდა დადოს ყველამ, ვინც შეიარაღებულია და ეს ხალხმაც იცის. მე დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული მათგანი მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ჩვენს სამშობლოს გამოადგება. შეიარაღებული ფორმირებები საქართველოსთვის მძიმე დროს შეიქმნა, როცა ჩვენი ხალხი პრაქტიკულად დაუცველი აღმოჩნდა. ეს ნაბიჯი გარკვეულწილად გამართლებული იყო, თუმცა დღეს ვხედავთ უარყოფით შედეგებსაც. მათი სახელით უამრავი დამნაშავე სარგებლობს. მე არ მინდა ,,მხედრიონის" მაგალითი მოვიშველიო, მაგრამ ფაქტია, არის ხალხი, რომელიც მისი სახელით მოქმედებს. არ იქნება ,,მხედრიონი", აღარ იქნებიან ასეთი თვითმარქვიები (7 დღე, 1991, გვ. 4)." უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნათქვამიდან მივაქციოთ ყურადღება შემდეგს: 1. რომ არსებობს უზენაესი საბჭოს დადგენილება არაკანონიერ შეიარაღებულ ფორმირებათა გაუქმების შესახებ, რაც მიანიშნებს ხელისუფლების მხრიდან პრობლემური საკითხის სამართლებრივი ფორმებით გადაჭრისთვის მზადყოფნას; 2. ,,იარაღი უნდა დადოს ყველამ, ვინც შეიარაღებულია და ეს ხალხმაც იცის. მე დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული მათგანი მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ჩვენს სამშობლოს გამოადგება (7 დღე, 1991, გვ. 4).'' _ ესეც სასარგებლო მოწოდება ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან; 3. შეიარაღებული ფორმირებების შექმნა მართლაც საქართველოსთვის რთულ პერიოდში მოხდა. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსკენ ხელოვნურად პროვოცირებული ე. წ. ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები ქართული მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დაუცველობის შეგრძნებას ტოვებდა. ეს იმ დროს, როცა ხელისუფლების სათავეში მყოფი კომუნისტური რეჟიმი არათუ არაფერს აკეთებდა პროვოკაციების აღსაკვეთად, არამედ თვითონ იყო დაძაბულობის კერების შექმნის და კონფლიქტების გაღვივების ინიციატორიც, ორგანიზატორიც, წამხალისებელიც, დამფინანსებელიც და მთავარი ხელშემწყობიც; 4. ,,ეს ნაბიჯი გარკვეულწილად გამართლებული იყო (7 დღე, 1991, გვ. 4)." ანუ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ქმედებებთან მიმართებით აქ მოწონება და ერთგვარი მადლიერების გამოხატულებაც შესამჩნევია; 5. ,,დღეს ვხედავთ უარყოფით შედეგებსაც. მათი სახელით უამრავი დამნაშავე სარგებლობს. მე არ მინდა ,,მხედრიონის" მაგალითი მოვიშველიო, მაგრამ ფაქტია, არის ხალხი, რომელიც მისი სახელით მოქმედებს (7 დღე, 1991, გვ. 4)." _ აცხადებს აკაკი ასათიანი და ამ ფრაზებში ცდილობს გადმოსცეს ის ნეგატიური შედეგი, რაც საზოგადოებას აშფოთებს. თუმცა, ამავე დროს ის მიანიშნებს, რომ მთავრობაში ფლობენ სათანადო ინფორმაციებს და თვითონაც მტკივნეულად განიცდიან, რომ ყველა ჩადენილი დანაშაული რატომღაც ,,მხედრიონი"-ს სახელით ჩადენილად კვალიფიცირდება მოსახლეობაში; დაბოლოს, 6. ,,არ იქნება ,,მხედრიონი", აღარ იქნებიან ასეთი თვითმარქვიები (7 დღე, 1991, გვ. 4)." _ პრობლემის გადაჭრის გზად ასახელებს გაჟღერებული მოწოდებისადმი დამორჩილებას, ყოველგვარი მუქარის შემცველი ფრაზების წარმოთქმის გარეშე.

ამ ყველაფრის საპირისპიროდ დავაკვირდეთ რას აცხადებს ,,მხედრიონი"-ს ლიდერი: ,,ჩვენ დავემორჩილებით მხოლოდ ისეთ ორგანოს, რომელიც იქნება მთელი ქართველი ხალხის ნებისა და ინტერესების გამომხატველი. პირადად ვინმეს, თუნდაც ზვიად გამსახურდიას ან სხვას, ჩვენ არ დავემორჩილებით, ჩვენ ისე დავრჩებით, როგორც შევიქმენით. ვინც ჩვენს დაშლას მოინდომებს, ვურჩევ ილუზიებს თავი დაანებოს. მართალია, სისხლი დაიღვრება, მაგრამ ყველამ იცოდეს, რომ ჩვენი მოწინააღმდეგის იარაღი ჩვენს ხელში გადმოვა. სხვა გამოსავალი არ არის. თუ რუსის ჯარს მოიშველიებენ ჩვენ ტყეში გავალთ და იქიდან ვიბრძოლებთ. ავღანელები ათი წელიწადი უმკლავდებოდნენ რუსეთს. ჩვენც ვიბრძოლებთ, რამდენ ხანსაც შევძლებთ: სამი წელი, სამი თვე, ერთი თვე ბოლოს და ბოლოს. ცალმხრივ განიარაღებაზე კი არ დავთანხმდებით. რაც იქნება _ იქნება. ეს არის ჩემი სათქმელი (7 დღე, 1991, გვ. 4)." ამ

განცხადების შემდეგ განვიხილოთ მისი შინაარსობრივი მხარე: 1. ,,ჩვენ დავემორჩილებით მხოლოდ ისეთ ორგანოს, რომელიც იქნება მთელი ქართველი ხალხის ნებისა და ინტერესების გამომხატველი. პირადად ვინმეს, თუნდაც ზვიად გამსახურდიას ან სხვას, ჩვენ არ დავემორჩილებით (7 დღე, 1991, გვ. 4).“ ე. ი. ჯაბა იოსელიანი განმარტავს, რომ ის და მისი ,,მხედრიონი“ არ სცნობენ ხალხის მიერ დემოკრატიული წესით არჩეულ ახალ ხელისუფლებას და მისი ლოგიკიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს ხელისუფლების ჩანაცვლება ახალი პოლიტიკური ძალით, ,,რომელიც იქნება მთელი ქართველი ხალხის ნებისა და ინტერესების გამომხატველი (7 დღე, 1991, გვ. 4).“ ეს ყველაფერი კი იმიტომ უნდა მოხდეს, რომ ჯაბა იოსელიანის შეიარაღებულმა ფორმირებამ უკანონო მფლობელოში მქონე იარაღი უბრალოდ დადოს. მაგრამ ეს ხომ პარადოქსია?! მართლაც, რომ დანიშნულიყო ახალი არჩევნები და ახალ პოლიტიკურ ძალას გაემარჯვა, იქნებოდა ის ,,მთელი ქართველი ხალხის ნებისა და ინტერესების გამომხატველი (7 დღე, 1991, გვ. 4).“?! რა თქმა უნდა ძნელად დასაჯერებელია, რადგან ,,მხედრიონი“-ს პრეცენდენტის შემდეგ სავარაუდოდ, არჩევნებში დამარცხებული ძალაც არ იგუებდა ახალ ხელისუფლებას და ასე შეიძლება გავაგრძელოთ უსასრულოდ. რაც თავისთავად ყოველგვარ სახელმწიფოებრივ აზროვნებასაა მოკლებული; 2. ,,ჩვენ ისე დავრჩებით, როგორც შევიქმენით (7 დღე, 1991, გვ. 4).'' _ რაც ნიშნავს, რომ კატეგორიულად უარყოფს რაიმე სახით იარაღის დაყრას და ხელისუფლების კი არა, არამედ კანონის მიმართ დამორჩილებას; 3. ,,ვინც ჩვენს დაშლას მოინდომებს, ვურჩევ ილუზიებს თავი დაანებოს (7 დღე, 1991, გვ. 4).“ _ ესეც მუქარის შემცველი განცხადება; 4. ,,მართალია, სისხლი დაიღვრება, მაგრამ ყველამ იცოდეს, რომ ჩვენი მოწინააღმდეგის იარაღი ჩვენს ხელში გადმოვა. სხვა გამოსავალი არ არის (7 დღე, 1991, გვ. 4).“ _ აქ უკვე სახეზე გვაქვს ხელისუფლების დაშინების მცდელობა; 5. ,,თუ რუსის ჯარს მოიშველიებენ ჩვენ ტყეში გავალთ და იქიდან ვიბრძოლებთ. ავღანელები ათი წელიწადი უმკლავდებოდნენ რუსეთს. ჩვენც ვიბრძოლებთ, რამდენ ხანსაც შევძლებთ: სამი წელი, სამი თვე, ერთი თვე ბოლოს და ბოლოს. ცალმხრივ განიარაღებაზე კი არ დავთანხმდებით. რაც იქნება _ იქნება. ეს არის ჩემი სათქმელი (7 დღე, 1991, გვ. 4).“ აქ საკითხავია, რომელი ,,რუსის ჯარის“ მოშველიებაზე საუბრობს ჯ. იოსელიანი? იმ ჯარზე ხომ არა, ინტერვიუს მიცემიდან დაახლოებით ერთი წლის თავზე თავად, რომ იბრძოდა მის მხარდამხარ ლეგიტიმურად არჩეული ხელისუფლების დასამხობად (Московские новости, 1992)? ან რას ნიშნავს ტყეში გასვლა და იქიდან ბრძოლა? ე. ი. აქ აანონსებს, რომ მზად არის საომრად, ახორციელებს მუქარას და ცდილობს ზეწოლის მოხდენას ახლადარჩეულ მთავრობაზე. აქვე ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: ვინ შეაიარაღა ეს ფორმირება ისე, ტყიდან ხანგრძლივი ბრძოლის წარმოებასაც კი, რომ გეგმავს? ამდენად, თუკი კატეგორიულად უარყოფს იარაღის დაყრაზე დათანხმებას _ ყველა შემთხვევაში ემზადება შეიარაღებული დაპირისპირებისთვის. ეს კი არ გამორიცხავს დაპირისპირების პროვოცირების ორგანიზებას სწორედ იმავე ძალის მხრიდან, ვინც ცოტათი ადრე უბიძგა საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ორგანიზაციებს შეიარაღებისკენ. და ალბათ, ,,მხედრიონელებს“ სწორედ იგივე ძალა აგულიანებდა, ეხმარებოდა და ამზადებდა თუნდაც ტყიდან ხანგრძლივად საბრძოლველად; 6. ,,ცალმხრივ განიარაღებაზე კი არ დავთანხმდებით. რაც იქნება _ იქნება. ეს არის ჩემი სათქმელი (7 დღე, 1991, გვ. 4).“ _ ასე ამთავრებს ,,მხედრიონი“-ს თავკაცი ინტერვიუს. აქაც დაისმის კითხვა: რომელ ცალმხრივ განიარაღებაზე არ აპირებს დათანხმებას? კანონი და სამართალი ხომ ყველასთვის ერთი უნდა ყოფილიყო?! თუ ,,მხედრიონი“ დაყრიდა იარაღს, იარაღს დაყრიდნენ ხელისუფლების მომხრე შეიარაღებული ფორმირებებიც. დავაზუსტოთ: თუ მხედრიონი არ დაყრიდა იარაღს, მაშინ გასაგებია რისთვისაც ემზადებოდა და შესაბამისად, არ კი არა, არამედ ვერ დაყრიდნენ იარაღს ხელისუფლების მომხრე შეიარაღებული ფორმირებები. თუ დაყრიდა იარაღს ,,მხედრიონი“, მაშინ საშიშროება მოიხსნებოდა და ასეთ შემთხვევაში მოხდებოდა განიარაღება ორმხრივად. ახლა იარაღის დაყრა-

არდაყრის საკითხს თავი დავანებოთ, რადგან ეს საკითხი საბოლოოდ გადაიჭრა. ხელისუფლებამ გარკვეული ხნის ლოდინის შემდეგ ქმედითი ნაბიჯები გადადგა. კერძოდ, სამართალდამცავების მიერ ორგანიზებული სპეცოპერაციის შედეგად, პრაქტიკულად ზედმეტი გართულებების გარეშე ჯაბა იოსელიანი ,,მხედრიონი"-ს კრიმინალურ ნაწილთან ერთად იქნა განიარაღებული და საპატიმრო დაწესებულებებში განთავსებული კანონის ძალით. მაგრამ ახლა ისევ პუბლიკაციის სათაურს მივუბრუნდეთ. რა შუაში იყო ხსენებული ,,სამოქალაქო ომი"? საქმე ისაა, რომ შექმნილი დაძაბული მდგომარეობა და ეროვნული ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ძალები, რა თქმა უნდა ზემოთ მოტანილი ჯაბა იოსელიანისეული განცხადებებით საზოგადოების ნაწილს და მათ შორის მასმედიის წარმომადგენლებსაც მიანიშნებდათ სამოქალაქო ომისთვის სამზადისზე. მოკლედ, მოხდა ის რაც მოხდა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში თბილისში, მთავრობის სასახლის ირგვლივ და დასრულდა ხალხის მიერ კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობით და ქვეყნის ფარგლებიდან განდევნით. თუმცა, იყო კი ნამდვილად სამოქალაქო ომი, როგორც ამას დღესაც ზოგიერთები უწოდებენ? მიუხედავად იმისა, რომ თავად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 22 დეკემბერს დაწყებული მოვლენების კვალდაკვალ მთავრობის სახლიდანვე გააკეთა პირველი (სატელევიზიო მიმართვა https://www.youtube.com/watch?v=Wtu6R4ocx4g _ ნანახია 05.12.2023 წ. 19:50 სთ-ზე) განცხადება აღნიშნულთან დაკავშირებით და თვითონვე განაცხადა, რომ ,,იმპერიულმა ძალებმა და მათმა აგენტურამ საქართველოში, თავს მოგვახვიეს სამოქალაქო ომი"-ო, შემდეგ ყველა დანარჩენ მიმართვებში, ინტერვიუებში, გამოსვლებში მომხდარის შესახებ პრაქტიკულად აღარ გამოუყენებია ტერმინი ,,სამოქალაქო ომი". რატომ? იმიტომ, რომ სამოქალაქო ომი _ თუ დავაკვირდებით გამოთქმას შინაარსობრივად გულისხმობს მოქალაქეთა შორის ომს და არ შეიცავს მაინცდამაინც სამხედრო დაპირიპირებას. ამასთან, სამოქალაქო ომი განიმარტება, როგორც ომი, ,,რომელშიც მონაწილეობენ მოსახლეობის შეიარაღებული მასები (https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D_%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98)." მაშ რასთან გვაქვს საქმე? მომხდარში ნამდვილად არ მონაწილეობდნენ მოსახლეობის შეიარაღებული მასები. ან რომელ მასებზეა საუბარი ოპოზიციის მხრიდან, ჰქონდათ კი მათ მასების მხარდაჭერა? მათ მიერ მოწყობილი საპროტესტო აქციები არც ისე მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდა. მით უმეტეს, რომ როგორც ზემოთ ითქვა, კანონიერი ხელისუფლების დამხობაში ყველანაირად ჩართულები იყვნენ და მონაწილეობდნენ რუსული სამხედრო ნაწილები. როდესაც გარე ძალები მონაწილეობენ ასეთ პროცესებში, მაშინ შეფასებისას შეიძლება ,,სამოქალაქო ომი" ვახსენოთ?! რა თქმა უნდა, არა. და როდესაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაც ბოლომდე გაერკვა სიტუაციაში (მით უმეტეს 22 დეკემბრიდანვე რუსი სამხედროების მონაწილეობა არ ჩანდა. ისინი მოგვიანებით ჩაერთნენ.), მას შემდეგ მასაც აღარ უხსენებია ტერმინი ,,სამოქალაქო ომი". აქვე, ბარემ ზემოთ წარმოდგენილი ინტერვიუების დარჩენილ ნაწილებსაც შევეხოთ. აკაკი ასათიანი ამბობს: ,,ჩვენ უკვე მივიღეთ დადგენილება შინაგანი ჯარის _ ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ. ის ახალწვეულებით დაკომპლექტდება. რაოდენობა სპეციალურად არ ჩავწერეთ, თუმცა ვვარაუდობთ, რომ ერთ წელიწადში გვარდიელთა რიცხვმა 1 5.000 უნდა მიაღწიოს. გვარდია, არმიის საფუძველია და ის გაწვევის წესით დაკომპლექტდება. პარალელურად იარსებებს სპეციალური დანიშნულების რაზმები, რომლებიც ნებაყოფლობის პრინციპზე შეიქმნება. აქ შესვლა შეეძლება ნებისმიერი ასაკის კაცს, რომელიც სამშობლოს დაცვას აპირებს საგანგებო ვითარებაში. ამისთვის კი გაივლის ჯანმრთელობის, ფსიქიური მდგომარეობის, საერთოდ, ზნეობრივი პოზიციის შემოწმებას. ამ რაზმების შემადგენლობა გაცილებით მცირერიცხოვანი იქნება. ორივე მათგანს ჩვენ

დავაფინანსებთ, ჩაბარებული იარაღიც მათ მოხმარდება. საქართველოში არსებულ თითქმის ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას თავისი შეიარაღებული ძალა ჰყავს, თვით იმ პარტიებსაც, რომლებიც უზენაეს საბჭოში არიან შესული. პირველ ყოვლისა, სწორედ ისინი დაემორჩილებიან დადგენილების მოთხოვნებს და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩააბარებენ იარაღს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სხვა შეიარაღებული ფორმირებანიც გულისყურით მოეკიდებიან ამ დადგენილებას და მიიღებენ, ვიმეორებ, საქართველოსთვის სასიკეთო გადაწყვეტილებას. ძალით, რომ გვინდოდეს იარაღის ამოღება, ახლავე შევძლებდით, ეს არც ისე ძნელი საქმეა, მაგრამ ამის გაკეთება არავის სურს. ხელისუფლება ხელისუფლებაა. შეიძლება პროტესტი გამოთქვან, მაგრამ ხელისუფლებისადმი ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა დაუშვებელია, კანონიც უნდა კანონობდეს. (7 დღე, 1991, გვ. 4)“ _ ინტერვიუს ამ ნაწილში მიუღებელი არაფერი ჩანს. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე საუბრობს ეროვნული ჯარის და სპეციალური დანიშნულების რაზმის შექმნის წინაპირობებზე, რომელთა აღჭურვასაც ჩაბარებული იარაღით მოიაზრებს. როგორც უკვე აღინიშნა, სწორედ ,,მხედრიონი“-სგან იარაღის ამოღება მოხდა მისი წევრების დაკავების შედეგად.

რაც შეეხება აქ წარმოდგენილ ინტერვიუში ჯაბა იოსელიანის დამოკიდებულებას ეროვნული გვარდიის შექმნასთან მიმართებით, ის ასე გამოიყურება: ,,ეროვნული გვარდია ეს არის ნამდვილი ბლეფი. არავითარი გვარდია საქართველოში არ არსებობს. ეს არის იგივე მოსკოვის შინაგანი ჯარების გაძლიერების პროცესი, რომელიც ემორჩილება მოსკოვს, მხოლოდ მას ახლა ექნება ეროვნული გვარდიის აბრა. გვარდია _ ეს არის პრივილეგირებული ჯარი და როცა შენ ჯარი არა გყავს, არც გვარდია უნდა გყავდეს. როცა ეს არის რომელიმე პარტიის ჯარი, ეს არის ნამდვილი მაფია. მე ამას ვამბობდი ყოველთვის და ახლაც ვიმეორებ _ ახლა ეს იქნება დაკანონებული მაფია და არავითარი ეროვნული გვარდია, ან იქნება მოსკოვის მილიცია, რომელსაც ექნება ეროვნული აბრა. ,,მხედრიონს“ დევნიდა მთავრობა, ,,მხედრიონს“ დევნიდა მილიცია და რუსის ჯარი, ასე იყო და ახლაც ასეა. (7 დღე, 1991, გვ. 4)“ აქ საფიქრებელია, რომ ,,მხედრიონი“-ს თავკაცი არათუ სახელმწიფოებრივად აზროვნებს, არამედ სრულ უვიცობას და უმეცრებას ამჟღავნებს. მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას, აცდენილია რეალობას და უაზროდ დემაგოგობს. ბევრი კომენტარის გაკეთებაც კი აქ ზედმეტი იქნება. როგორც მისახვედრია, ჯაბა იოსელიანს მხოლოდ თავისი შეიარაღებული ფორმირება მიაჩნდა კანონიერ და ქვეყნისთვის აუცილებელ ძალად. თუმცა, მისი და ,,მხედრიონი“-ს წევრების დაპატიმრებისას საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მათ მიერ ჩადენილი სხვადასხვა კრიმინალის შესახებ, რაც მიანიშნებს აღნიშნული ორგანიზაციის დანაშაულებრივ სახეზე. პუბლიკაციის ბოლოს მისი ავტორები კვლავ იმ დროისათვის ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას მიმოიხილავენ, მაგრამ ეს უკვე აღარ არის მნიშვნელოვანი და არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს.

შეიძლება ითქვას, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შედეგების საფუძველზე საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსული ახალი პოლიტიკური ძალა თავიდანვე მიზანში იყო ამოღებული. გარკვეული დესტრუქციული ძალები, რომლებიც არჩევნებში დამარცხდნენ ან არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს, რჩებოდნენ ე. წ. შეურიგებელ ოპოზიციად. განსაკუთრებული რადიკალიზმით და დესტრუქციულობით გამოირჩეოდნენ პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიები. ირკვევა, რომ მათ მიზანს წარმოადგენდა ლეგიტიმურად არჩეული ხელისუფლების დამხობა, თუნდაც შეიარაღებული გზით. ჯაბა იოსელიანის ინტერვიუს შინაარსის გარდა, სხვაც არაერთი მასალა მოიძებნება ამის დასადასტურებლად. მაგალითად, ერთ-ერთ ინტერვიუში, ე. წ. ქუჩის ოპოზიციის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი აცხადებდა შემდეგს: ,,ჩვენი მიზანია, გავაფართოვოთ საყოველთაო დაუმორჩილებლობა საქართველოში დესტაბილიზაციის ესკალაციით. ჩვენ იმდენად უნდა გავუმწაროთ ხალხს ცხოვრება,

რომ იგი იძულებული გახდეს ძალით დაამხოს გამსახურდიას ხელისუფლება. (Грузия-спектр, 1991)“

ამდენად, რისთვისაც ემზადებოდნენ დესტრუქციული ძალები _ სრულიად ნათელია. მაგრამ რატომ გაჟღერდა მაინცდამაინც ,,სამოქალაქო ომი“ პუბლიკაციის სათაურში? როგორც ჩანს მასმედიის წარმომადგენელთა ყურამდე მიდიოდა დაგეგმილი სცენარის შესახებ გარკვეული ინფორმაციები. ეს არც არის გასაკვირი. ისინი ხომ მიდიოდნენ ადგილზე, სიახლეების მოსასმენად, გადასაღებად თუ ჩასაწერად და არ არის გამორიცხული თუნდაც ყურ-მოკვრით რომელიმე პარტიის შტაბ-ბინაში ან რომელიმე შეიარაღებული ფორმირების დისლოკაციის ადგილზე მსგავსი რამ მოესმინათ ერთ-ერთი პარტიის ლიდერისგან ან გაეგონათ შემთხვევით. შექმნილი ვითარებაც შესაძლებელია აფიქრებინებდათ იგივეს. მაგრამ სავარაუდო აქ სხვა რამეა. თუ მოხდებოდა მთავრობის იარაღის ძალით დამხობა, ისე უნდა შელამაზებულიყო, რომ მთავარ დამნაშავედ წარმოჩენილიყო ზვიად გამსახურდია თავისი ხელისუფლებით. ერთი სიტყვით, სამოქალაქო ომს ეყოლებოდა ორი დაპირისპირებული მხარე, რის გამოც პასუხისმგებლობა ძირითადად დაეკისრებოდა ხელისუფლებას. ასეთი შეფუთვის გარეშე კი მოხდებოდა ლეგიტიმური ხელისუფლების ძალით დამხობა, რაც განხორციელდა კიდეც ზემოთ ნახსენები ძალების მიერ. შედეგი თუ მაინც ერთიდაიგივე დადგებოდა მაშ რაღა აზრი და მნიშვნელობა ჰქონდა რას დაარქმევდნენ მომხდარს?! საქმე იმაშია, რომ ,,სამოქალაქო ომი“ მათ ათავისუფლებდათ სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თითქოსდა მასში ფართე მასები იღებდნენ მონაწილეობას... ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა კი თვითონაც კარგად იცოდნენ, რომ მძიმე დანაშაულია და თუ როდისმე სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა, მათ აუცილებლად მოუწევდათ ჩადენილის გამო პასუხისგება მართლმსაჯულების წინაშე.

დასკვნები: ფაქტია, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგად საქართველოს რესპუბლიკის სათავეში მოსული ბლოკი ,,მრგვალი მაგიდა _ თავისუფალი საქართველო“ თავის სპიკერ ზვიად გამსახურდიასთან ერთად გარკვეული პოლიტიკური ძალებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მათ გადაწყვიტეს ნებისმიერი საშუალებით აღნიშნული მმართველი ძალის ჩამოცილება ქვეყნის მართვისგან. ამ განზრახვას ჰქონდა სერიოზული მხარდაჭერა მოსკოვიდან, სადაც ფიქრობდნენ ფაქტობრივად დაშლილი საბჭოთა კავშირის კვლავ აღდგენაზე და სურდათ მათთვის სასურველი პოლიტიკური ძალების მობილიზება ურჩი რესპუბლიკების სათავეებში. შესაბამისად, ერთი მიზნის ქვეშ გაერთიანება ერთმანეთზე ზრუნვასაც ითვალისწინებდა და გაჩნდა იდეა _ ძალით დაემხოთ საქართველოს ხელისუფლება, ძალადობრივი ქმედებანი კი აეხსნათ და გაემართლებინათ ,,სამოქალაქო ომით“, რომელიც საზოგადოების გახლეჩას და მათ შორის დაპირისპირებას გულისხმობდა. თუმცა, სიმართლე ის არის, რომ ხელისუფლება მხოლოდ იგერიებდა შემოტევებს ანუ თავს იცავდა და აქედანაც შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გამოტანა. საინტერესოა, მთავრობის სახლზე შეტევის დაწყების თარიღის განსაზღვრის საკითხიც. აქამდე გავრცელებული სხვა ვერსიების გარდა შეიძლება გამოვთქვათ შემდეგი ვარაუდი: როგორც ცნობილია, დაანონსებული იყო 25 დეკემბრიდან აშშ-ის და სხვა განვითარებული სახელმწიფოების მიერ საქართველოს და დანარჩენი დამოუკიდებლობაგამოცხადებული რესპუბლიკების დე-იურე აღიარების შესახებ. ამ ინფორმაციას რასაკვირველია კრემლშიც ფლობდნენ და საფიქრებელია, რომ სწორედ ამიტომ გადაწყდა მთავრობის სახლზე შეტევის დაწყება სამი დღით ადრე იმ იმედით, რომ 25 დეკემბრამდე მოახდენდნენ არა მხოლოდ ხელისუფლების შეცვლას, არამედ თვით პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას ფიზიკურ ლიკვიდაციასაც. ასეთ ვარაუდს ამყარებს თბილისში სპეციალურად გამოგზავნილი სნაიპერების ჩვენებები და 22 დეკემბერს

დილით, გამთენიისას უშუალოდ პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტის ფანჯარაზე ნასროლი ჭურვები (საქართველოს რესპუბლიკა, 1991). შემდეგ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ საქართველოს მართვის მიზნით გამოსაგზავნად გამზადებული ედუარდ შევარდნაძე საქართველოს დე-იურე აღიარების საკითხს თავისი საკუთარი ავტორიტეტის დამსახურებად მიიწერდა და შეეცდებოდა ქართველი ხალხის თვალში პოლიტიკური ქულების დაწერას. რაც აღარ მომხდარა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კანონიერმა ხელისუფლებამ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლები მხოლოდ 1992 წლის 6 იანვარს დატოვა. იმ დროისთვის კი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის, მისი დე-იურედ აღიარების საკითხი ფაქტობრივად დასრულებული იყო.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

7 დღე. (1991, იანვარი 4).

7 დღე. (1991, იანვარი 4). *გაზეთი*, p. 3.

7 დღე. (1991, იანვარი 4). *გაზეთი.*

Грузия-спектр. (1991, ოქტომბერი 7-13).

Московские новости. (1992, დეკემბერი 20). *გაზეთი.*

აბაშიძე, ზ. ბ. (2013). *საქართველო დ აქართველები.* თბილისი: ფავორიტი პრინტი.

აბაშიძე, ზ. ბ. (2013). *საქართველო და ქართველები.* თბილისი: ფავორიტი პრინტი.

აბაშიძე, ზ. ბ. (2013). *საქართველო და ქართველები.* თბილისი: შ.პ.ს. ,,ფავორიტი პრინტი".

აბაშიძე, ზ. ბ. (2013). საქართველო და ქართველები. თბილისი: ფავორიტი პრინტი.

ნათმელაძე, მ. დ. (2004). *საქართველოს უახლესი ისტორია (1921-2000 წ.წ.).* თბილისი: მემატიანე.

ნათმელაძე, მ. დ. (2004). საქართველოს უახლესი ისტორია (1921-2000 წწ.). თბილისი: მემატიანე.

საქართველოს რესპუბლიკა. (1991, დეკემბერი 25). *გაზეთი.*

შველიძე, დ. (2008). *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წ.წ.).* თბილისი: უნივერსალი.

References

7 dghe. (1991, ianvari 4).

7 dghe. (1991, ianvari 4). gazeti, p. 3.

7 dghe. (1991, ianvari 4). gazeti.

Грузия-спектр. (1991, okt'omberi 7-13).

Московские новости. (1992, dek'emberi 20). gazeti.

abashidze, z. b. (2013). sakartvelo d akartvelebi. tbilisi: pavorit'i p'rint'i.

abashidze, z. b. (2013). sakartvelo da kartvelebi. tbilisi: pavorit'i p'rint'i.

abashidze, z. b. (2013). sakartvelo da kartvelebi. tbilisi: sh.p'.s. ,,pavorit'i p'rint'i".

abashidze, z. b. (2013). sakartvelo da kartvelebi. tbilisi: pavorit'i p'rint'i.

natmeladze, m. d. (2004). sakartvelos uakhlesi ist'oria (1921-2000 ts'.ts'.). tbilisi: memat'iane.

natmeladze, m. d. (2004). sakartvelos uakhlesi ist'oria (1921-2000 ts'ts'.). tbilisi: memat'iane.

sakartvelos resp'ublik'a. (1991, dek'emberi 25). gazeti.

shvelidze, d. (2008). p'olit'ik'uri dap'irisp'irebebi da erovnuli khelisuplebis damkhoba sakartveloshi (1987-1992 ts'.ts'.). tbilisi: universali.